



სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოს წლიური ანგარიში

2016 წელი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ – ავტორიზებული სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანების საფუძველზე.

ცენტრის მიზანია ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, პროფესიული განათლების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პიროვნების მოთხოვნებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ითვალისწინებს.

ამ მიზნების მისაღწევად, კოლეჯი:

- უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
- ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეცნიერო პარტნიორობას;
- ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
- ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
- თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ტრენინგ-კურსები

კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებები განსაზღვრულია ინჟინერიის, ხელოვნების, ბიზნესის ადმინისტრაციისა და სხვა მიმართულებებით. **100% სახელმწიფო დაფინანსებით**, კოლეჯი ახორციელებს **20 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას**, რომლის კურსდამთავრებულზე გაიცემა **სახელმწიფო დიპლომი. ეს პროგრამებია:**

- მოლარე (ბანკის და ა.შ.);
- მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი;
- ძრავის შემკეთებელი;

- ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი;
- ავტომობილის დიაგნოსტიკოსი (II, III საფეხური);
- ინფორმაციული ტექნოლოგი;
- სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი;
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი;
- საკერავი მანქანების ოპერატორი;
- ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი);
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი;
- ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი);
- ბუღალტერი (III, IV საფეხური);
- კომპიუტერული გრაფიკოსი;
- ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი;
- მცირე ბიზნესის მწარმოებელი;
- სავალი ნაწილის ტექნიკოსი;
- ტაპოგრაფი.

გარდა ამისა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით, კოლეჯმა მიენიჭა უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს ზემოთ აღნიშნული 8 ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბუღალტერი, (საფეხური V);
- ვებპროგრამისტი, (საფეხური V);
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი, (საფეხური III);
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი, (საფეხური V);
- მოლარე, (საფეხური III);
- ბანკის მოლარე-ოპერატორი, (საფეხური III);
- საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი, (საფეხური III);
- სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი), (საფეხური IV).

კოლეჯში ასევე ისწავლება შემდეგი სასერტიფიკატო მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ-კურსები):

- ფულადი ნიშნების ექსპერტიზა;
- ბანკის მოსამზადებელი კურსი და ALTA;
- სალარო ოპერაციების მართვა;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- ბუღალტერია (ბუღალტერ-ტექნიკოსი);
- საბუღალტრო პროგრამა ORIS;
- ამზომველ-გეოდეზისტი;
- ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი;
- ინფორმაციული ტექნოლოგი;
- ინფორმაციული ტექნოლოგი (კომპიუტერული ტექნიკის არქიტექტურა და ინჟინერია);
- ინფორმაციული ტექნოლოგი (კომპიუტერის პროგრამების შესწავლა);
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი;
- მცირე ბიზნესის მწარმოებელი;
- ოფისის მენეჯერი;
- კომპიუტერული გრაფიკა (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება);
- ძრავის შემკეთებელი;
- მოლარე;
- სამკერვალო საქმის ადმინისტრირება.

არსებული რესურსების (ადამიანური, მატერიალური და სხვა) შეფასება

კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან და პროფესიულ პედაგოგებთან. კადრები სისტემატურად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, მათ შორის, სსსმ პირთა სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ადაპტირების კუთხით. ცენტრი აღჭურვილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით, არსებობს თანამედროვე სალექციო აუდიტორიები, მუდმივად ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასები და ლაბორატორიები. უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ინფრასტრუქტურა მთლიანად ადაპტირებულია ინკლუზიური განათლების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით და ყველანაირ საშუალებას იძლევა, რათა შესაბამისი სსსმ პირებმა ხარისხიანი სწავლება გაიარონ. საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის დაწესებულებას დადებული აქვს მემორანდუმები შესაბამის კომპანიებთან. კოლეჯში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა და სამედიცინო ოთახი.

სპეციალობებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროში მოღვაწე კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და სილაბუსების შემუშავების, განხორციელების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესში, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილების შეტანისას.

კოლეჯში ჩარიცხული სსსმ და შშმ სტუდენტების რაოდენობა და მათი საჭიროებები

კოლეჯი აქტიურად არის ჩართული სსსმ და შშმ პირთა მიერ პროფესიული განათლების მიღების პროცესში:

2016 წელს კოლეჯი დაასრულა და შესაბამისი კვალიფიკაცია მიიღო 2015 წლის გაზაფხულის მიღებიდან შემდეგმა სსსმ სტუდენტებმა:

- ა) საბა გუბელაძე - „კომპიუტერული გრაფიკოსი“, (III საფეხური);
- ბ) გიორგი ენუქიძე - „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, (IV საფეხური).

2016 წელს კოლეჯი დაასრულა და შესაბამისი კვალიფიკაცია მიიღო 2015 წლის შემოდგომის მიღებიდან ერთმა სსსმ სტუდენტმა გოდერძი გოგოლაძემ - „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, (IV საფეხური). გოდერძიმ სტაჟირება გაიარა (05.09.2016-05.11.2016წწ.) „სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირში“. ამჟამად დასაქმებულია საერთაშორისო ორგანიზაციაში „World Vision“.

2015 წლის გაზაფხულის მიღებაზე კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურებზე ჩარიცხულ იქნა სსსმ 2 სტუდენტი:

- გიორგი მშვილდაძე - „კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი“, (III საფეხური);
- მარიამ ქურდოვანიძე - „ინფორმაციული ტექნოლოგი“, (III საფეხური).

2015 წლის შემოდგომის მიღებაზე კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურებზე ჩარიცხულ იქნა სსსმ 15 სტუდენტი:

- სალომე გელაშვილი - პროფესიულ პროგრამაზე „ვებპროგრამისტი“ (V საფეხური). ამჟამად სწავლას აგრძელებს აღნიშნულ პროგრამაზე;
- გიორგი გველესიანი - პროფესიულ პროგრამაზე „ვებპროგრამისტი“ (V საფეხური). სწავლას აგრძელებს აღნიშნულ პროგრამაზე;
- აკაკი მგალობლიძე - პროფესიულ პროგრამაზე „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი“ (IV საფეხური). სწავლას აგრძელებს აღნიშნულ პროგრამაზე;

- რევაზ ფაჩულია - პროფესიულ პროგრამაზე „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი“, (IV საფეხური). ამჟამად სწავლობს აღნიშნულ პროგრამაზე.
- ხატია ორველაშვილი - პროფესიულ პროგრამაზე „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი“, (III საფეხური). ამჟამად იმყოფება სასწავლო პრაქტიკაზე.
- დაჩი ფაცაცია - პროფესიულ პროგრამაზე „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი“, (III საფეხური). ამჟამად იმყოფება სასწავლო პრაქტიკაზე.
- ნიკო გათიკაშვილი - დაამთავრა „ავტომობილის დიაგნოსტიკოსი“, (II საფეხური). მიენიჭა კვალიფიკაცია. ამჟამად დასაქმებულია სხვა პროფილით (დასუფთავების სამსახური).
- ნატო გორგიშელი - პროფესიულ პროგრამაზე „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, (IV საფეხური). მიენიჭა კვალიფიკაცია, სტაჟირება დაასრულა „სრულიად საქართველოს ღვთისმშვილთა კავშირში“.
- ვახტანგ გუნიავა - პროფესიული პროგრამა „ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი“, (III საფეხური). კვალიფიკაცია მიენიჭა და დასაქმებულია შპს "ავტოსერვისცენტრი+" 20.09.2016 წლიდან დღემდე.
- სოლომონ თოფჩიშვილი - პროფესიულ პროგრამაზე „ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)“, (III საფეხური). მიენიჭა კვალიფიკაცია. გაიარა სტაჟირება "სრულიად საქართველოს ღვთისმშვილთა კავშირში" 05.09.2016წ.-05.11.2016წ..
- გიგი ბიბილაშვილი - პროფესიულ პროგრამაზე „სავალი ნაწილის ტექნიკოსი“, (III საფეხური). სწავლა შეწყვიტა აკადემიური პროგრამის მოცულობის 1/3-ის გაცდენის გამო.
- ლელა თენიშვილი - პროფესიულ პროგრამაზე „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“, (III საფეხური). 25.03.2016წ. სწავლა შეწყვიტა პირადი განცხადების საფუძველზე.
- დავით კუტალაძე - პროფესიულ პროგრამაზე „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი“, (III საფეხური). სწავლა შეწყვიტა მშობლის განცხადების საფუძველზე.
- ნინო მაჭარაშვილი - პროფესიულ პროგრამაზე „ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)“, (III საფეხური). 23.09.2016წ. სწავლა შეწყვიტა აკადემიური პროგრამის მოცულობის 1/3-ის გაცდენის გამო.
- ანა ჟვანია - პროფესიულ პროგრამაზე „ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)“, (III საფეხური). 21.06.2016წ. სწავლა შეწყვიტა აკადემიური პროგრამის მოცულობის 1/3-ის გაცდენის გამო.

2016 წლის გაზაფხულის მიღებაზე კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი“, (III საფეხური), ჩაირიცხა სსსმ სტუდენტი თორნიკე სეფიაშვილი. თორნიკე ამჟამად სწავლას აგრძელებს აღნიშნულ პროგრამაზე.

2016 წლის საშემოდგომო მიღებაზე კოლეჯში ჩაირიცხა და პროფესიულ პროგრამაზე სწავლას აგრძელებს 8 სსსმ სტუდენტი:

- ნაგლიაშვილი ქეთევან - „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“, (III საფეხური);
- მდივნიშვილი უჩა - „სავალი ნაწილის ტექნიკოსი“, (III საფეხური);
- ხარებოვი ალან - „ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)“, (III საფეხური);
- სვანიძე გიორგი - „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი“, (III საფეხური);
- მირიანაშვილი დავით - „ავტომობილის დიაგნოსტიკოსი“, (II საფეხური);
- ტერაშვილი ნიკა - „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი“, (III საფეხური);
- ჩოხელი შოთა - „სავალი ნაწილის ტექნიკოსი“, (III საფეხური);
- გაბარაშვილი ნიკა - „ძრავის შემკეთებელი“, (III საფეხური).

კოლეჯში შექმნილია ყველა პირობა სსსმ პირებისთვის საუკეთესო პროფესიული განათლების მისაღებად. ზემოხსენებული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლისა და დასაქმების კუთხით კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლეჯი ახორციელებს წინასწარ მოკვლევას იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებს დამსაქმებელი სსსმ პირის/ების მიღებასა და მისთვის შესაფერისი გარემოთი უზრუნველყოფას.

სსსმ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის დროს გაწეული მხარდაჭერა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N110 ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე სსსმ სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რომელთა ხანგრძლივობა აჭარბებს ერთ ან ორ კალენდარულ წელს, კოლეჯში 2015 წელს სამინისტროსთან შეთანხმდა და დღემდე მოქმედებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული.

მიუხედავად ამისა, კოლეჯში მწვავედ დგას ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირის ასისტენტის ერთი საშტატო ერთეულის ამოქმედების საჭიროება. 2016 წლის 5 სექტემბრის წერილით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N1023495 წერილით ეთხოვა აღნიშნული საშტატო ერთეულების დაშვება, მაგრამ უარი ეთქვა.

2015 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების შედეგად კოლეჯში ჩარიცხულმა ორმა სსსმ სტუდენტმა - ანა ჟვანიამ (პ.N01005028341, „ოფისის მენეჯერი (მდივანი-რეფერენტი)“) და ნატო გორგიშელმა (პ.N01001072904, „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“) მოგვმართეს თხოვნით, რათა გაგვეწია დახმარება სპეციალური ასისტენტის გამოყოფის სახით. კოლეჯს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2015 წლის 16 დეკემბრის N1312262 წერილით განესაზღვრა ერთი შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობა 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ვინაიდან სტუდენტებმა სწავლა განაგრძეს 2016 წელსაც (დასახელებულ პროგრამებზე სასწავლო პროცესი დაიწყო 2015 წლის 2 ნოემბერს და გაგრძელდა 2016 წლის შემოდგომის ჩათვლით), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წელს 11 მარტის N219 ბრძანების თანახმად, კოლეჯს გამოეყო დაფინანსება ერთი გადაადგილების მხარდაჭერის მომსახურების შესყიდვაზე. შესაბამისად, კოლეჯის მიერ 2016 წლის 18 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N29, რომლის თანახმად 2016 წლის მარტიდან ივლისის ჩათვლით და სექტემბრის თვეში (ჯამურად 124 დღე) შესყიდულ იქნა გადაადგილების მხარდაჭერის მომსახურება. აღნიშნული პირი ნატო გორგიშელს (ვინაიდან ანა ჟვანიამ სწავლა შეწყვიტა) სწავლის პროცესში დაეხმარა შენობაში გადაადგილებაში, უზრუნველყო მისი ტრანსპორტირება საცხოვრებელი ადგილიდან სასწავლებლამდე და უკან, ასევე აღმოუჩინა სხვა დახმარებები.

2016 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, კოლეჯის პედაგოგები და ადმინისტრაცია ესწრაფებოდა მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებულ ინკლუზიის საკითხებზე ჩატარებულ ტრენინგებს, სადაც ისინი გაეცნენ სსსმ და შშმ პირთა სწავლებისა და შეფასების ცოდნასა და გამოცდილებას, მათ შორის, ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესში. მაგალითად:

ა) სტუდენტთან ერთად მის ინდივიდუალურ ტრანზიციის გეგმის შემუშავებასა და წარმოებაში წვლილის შეტანა;

ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით;

გ) სწავლა-სწავლებისა და შეფასების საკითხების განსაზღვრა ინკლუზიური პროფესიული განათლების კონტექსტში.

2016 წელს, ნორვეგიული გრანტის „ინკლუზიური განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ფარგლებში კოლეჯში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

ა) „ინდივიდუალური მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლებისას და პროფესიული ტესტირება - ნაწილი I“;

ბ) „ინდივიდუალური მიდგომები სპეციალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის განათლებისას და პროფესიული ტესტირება - ნაწილი II“.

**სასწავლო და სამუშაო პროცესში გამოვლენილი
წარმატებები/შედეგები და სირთულეები/გამოწვევები:**

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს ინკლუზიური განათლების დანერგვას, ვინაიდან სსსმ პირები გახდნენ მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ. შესაბამისად, სასწავლო პროცესიც მორგებულია მათ შესაძლებლობებზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლეჯის ყველა სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტი აკმაყოფილებს პროფესიული პროგრამის ჩარჩოთი გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თითოეული მათგანი პერსონალური თვისებებიდან გამომდინარე ხასიათდება გონებრივი განვითარების მაღალი დონით, კომპიუტერული ტექნოლოგიების კარგად ფლობის უნარებით და პასუხისმგებლობის გრძნობით და ამავდროულად, ყველას აქვს მზაობა მიიღოს პროფესიული განათლება.

გარდა ამისა, კოლეჯში სისტემატიურად მიმდინარეობს შეხვედრები თბილისის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კუთხით. განხორციელდა მოსწავლეთა ვიზიტები კოლეჯის სასწავლო ლაბორატორიებისა და სახელოსნოების, პროფესიული პროგრამების და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გასაცნობად.

2016 წელს გამართული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

- დამდეგი, 2016 წლის მოახლოება კოლეჯში ახალი მსოფლიო რეკორდითა და ერთდროულად სპორტული ტურნირებით აღნიშნეს. პარასპორტულ შეჯიბრებები გაიმართა მკლავჭიდსა და ნარდში, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულმა შშმ პირებმა, ასევე კოლეჯის სსსმ სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა.
- 2016 წლის დასაწყისში კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისის მერთან და გლდანის რაიონის გამგობის თანამშრომლებთან ერთად ახალგაზრდა ხის ნერგები დაირგო. ამ აქციაში კოლეჯის სტუდენტები მათ შორის სსსმ პირები, პედაგოგები და თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ.
- 2016 წლის 30 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა ორნაგიზაცია „ბაბალეს“ ინიციატივით გაიმართა მოდების ჩვენება სახელწოდებით „მე და პროფესიები“. ჩვენებაში მონაწილეობას სსსმ და შშმ მოზარდები იღებდნენ. იდეის განხორციელებაში ჩართული იყვნენ ცნობილი დიზაინერები სალომე ღვინიაშვილი და მაკა კვიციანი, რომელთან ერთადაც შეკერეს კოლეჯის სტუდენტებმა სამოსი.
- 2016 წლის აპრილში კოლეჯში, რაიონის თვითმმართველობის ინიციატივითა და დახმარებით, შშმ პირების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის „აისი“ და მე-200 სკოლა-ლიცეუმის შშმ მოსწავლეთა ნამუშევრები. შშმ პირების საზოგადოებაში მეტი ინტეგრაციის მიზნით, გამოფენაზე, ასევე წარმოდგენილი იყო გლდანის საჯარო სკოლების მოსწავლეთა საუკეთესო ნახატები.
- 2016 წლის მაისში კოლეჯს ესტუმრნენ მე-200 სკოლა-პანსიონის მოსწავლეები, დაათვალიერეს კოლეჯი, გაეცნენ სასწავლო პროგრამებს და მოსინჯეს მათთვის სასურველი სპეციალობები.
- 2016 წლის ზაფხულში ორგანიზებულ მინი-ფეხბურთის შინა ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს სსსმ სტუდენტებმა.
- 2016 წლის 16 ივლისს კოლეჯის ორგანიზებით მოეწყო ერთდღიანი საზაფხულო ბანაკი წინამძღვრიანთკარში. მუზეუმის, ისტორიული ბაღისა და ერეკლე მეფის დროინდელი „ცხრა მუხას“-ს დათვალიერების შემდეგ სტუდენტებმა და მასწავლებლებმა წინამძღვრიშვილის სახელობის პროფესიული სასწავლებლის განახლებული სასწავლო კორპუსისა და ეზოს დასუფთავება-კეთილმოწყობის სამუშაოებში მიიღეს მონაწილეობა.
- კოლეჯში ყოველკვარტალურად იმართება ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“. თამაშში ასევე მონაწილეობენ სსსმ სტუდენტებმა.
- 2016 წლის 18 ნოემბერს ქვეითსაწინააღმდეგო ნადმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტი „ოტავა-98“-ის ინიციატივითა და ევროკავშირის მხარდაჭერით გაიმართა დასაქმების ფორუმი. დამსაქმებლებს წარმოდგენილი ქონდათ მიმდინარე ვაკანსიები, სსსმ პირებს

შეეძლოთ შესაბამის ვაკანსიაზე წარდგენა და გასაუბრება. შესაბამისად, დასაქმების ფორმულზე მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის კურსადამთავრებულებმაც.

- 2016 წლის 22 დეკემბერს კოლეჯში გაიმართა საახალწლო ღონისძიება, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ სსსმ სტუდენტები - ნიკა ტერაშვილი და ქეთვან ნაგლიაშვილი.